საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება №- 01-02/209

ქ. ბათუმი 26 აგვისტო, 2022 წ.

„ღია მეცნიერების“ განვითარების ხელშეწყობა" ქვეპროგრამის ფარგლებში ბსუ-ს მიერ განსახორციელებელი დამატებითი ღონისძიებების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 14 ივლისის N01-02/170 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის“ პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 31 დეკემბრის № 1245475 ბრძანების, „სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის“ პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 31 დეკემბრის № 1245475 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქათველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 03 დეკემბრის №1306886 ბრძანების, „ღია მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა“ პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარი დაწესებულებების მიერ მოსამზადებელი ინფორმაციის ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ სსიპ- შოთა რუსთველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2021 წლის 7 დეკემბრის №154 ბრძანების, სსიპ- შოთა რუსთველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდსა და ბსუ-ს შორის 2021 წლის 09 დეკემბრის N06 ხელშეკრულების (დაფინანსების შესახებ), სამეცნიერო კვლევების სამსახურის უფროსის 2022 წლის 26 აგვისტოს №947943 სამსახურებრივ ბარათთა საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ,,ღია მეცნიერების“ განვითარების ხელშეწყობა" ქვეპროგრამის ფარგლებში ბსუ-ს მიერ განსახორციელებელი დამატებითი ღონისძიებების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 14 ივლისის N01-02/170 ბრძანების პირველ პუნქტის „გ” ქვეპუნქტში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, პირველ პუნქტს 1.9. პუნქტის შემდეგ **დაემატოს შემდეგი რედაქციის 1.10 პუნქტი:**

,,1.10 დაევალოს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის აღრიცხვა-ანგარიშების სამსახურს (გ. ნაგერვაძეს) უზრუნველყოს სსიპ - შოთა რუსთველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდსა და ბსუ-ს შორის 2021 წლის 09 დეკემბერს დადებული დაფინანსების შესახებ №06 ხელშეკრულების მიხედვით ფინანსური ანგარიშის წარმოდგენა და მიწოდების ორგანიზება, სამეცნიერო კვლევების სამსახურთან კოორდინირებული მუშაობით.“;

2. დაევალოს საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია) საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის, აღრიცხვა-ანგარიშების სამსახურის მთავარ სპეციალისტ გულნაზ ნაგერვაძესთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმება.

3. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

4. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (ა. ბერიძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადმინისტრაციის ხელძღვანელს, ბსუ-ს დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**